საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

მოქალაქე გიორგი კლდიაშვილის

მისამართი: თბილისი, ნიაღვრის ქ. #4, ბ. #18

ტელ: 599770100

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(არასწორად გავრცელებული ცნობების უარყოფასთან დაკავშრებით)

მოგახსენებთ, რომ მე- გიორგი კლდიაშვილი ვარ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დირექტორი. 2014 წლის 12 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ უკანონოდ მოხდა ჩემი დაკავება და კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების შელახვა, რაზედაც თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩემთვის თავისუფლების შეზღუდვა იყო უკანონო.

2014 წლის 17 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინსიტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე დაიდო განცხადება შემდეგი სათაურით: „გიორგი კლდიაშვილთან დაკავშირებული ინციდენტი შსს-სა და „IDFI“-ს შორის არსებულ თანამშრომლობაზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს“ (http://police.ge/ge/giorgi-kldiashviltan-dakavshirebuli-intsidenti-shss-sa-da-/7499?print=1).

განცხადების ტექსტში აღნიშნული იყო, რომ „შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოქალაქე გიორგი კლდიაშვილის ავტომობილის და პირადი ჩხრეკისას "პარაბელუმი"-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს. გიორგი კლდიაშვილმა, ჩატარებული ჩხრეკის შემდეგ, სამართალდამცველებს განუცხადა, რომ აღნიშნული იარაღი იყო მისი საკუთრება და მას ჰქონდა ტარების უფლება. მოგვიანებით, გამოძიების პროცესში, დაკითხვისას, გიორგი კლდიაშვილმა ვერ წარმოადგინა აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რის შემდეგაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით, გიორგი კლდიაშვილი 12 დეკემბერს ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარების ბრალდებით დააკავეს. დაკავებული დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს. 14 დეკემბერს გაიმართა სასამართლო პროცესი, სადაც მოსამართლემ პროკურორის შუამდგომლობა გირაოს შესახებ დააკმაყოფილა და გიორგი კლდიაშვილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. აქვე გვსურს, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ სამართალდამცველების მოქმედება გიორგი კლდიაშვილი მიმართ სხვა მსგავსი

შემთხვევების ანალოგიური იყო. შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოხატავს პატივისცემას არასამთავრობო სექტორის, მათ შორის, „IDFI“-ს მიმართ. აღნიშნული ინციდენტი ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს სამინისტროსა და „IDFI“-ს შორის არსებულ თანამშრომლობაზე. შს სამინისტრო სამოქალაქო საზოგადოებასთან მომავალშიც იქნება ანგარიშვალდებული.“

მსურს მოგახსენოთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაცია ლახავს ჩემს პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას და არის არასწორი. გავრცელებული განცხადებით საზოგადოებას არ მიეწოდა სრულყოფილი ინფორმაცია, რამაც შესაძლებელი გახადა არასწორი წარმოდგენა შექმნილიყო საქმის ვითარებასთან დაკავშირებით.

პირველ რიგში, მსურს თქვენი ყურადღება გავამახვილო განცხადების იმ ნაწილზე, სადაც აღინიშნა, რომ ჩემი პირადი ჩხრეკისას ამოღებულ იქნა "პარაბელუმი"-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის ტარების უფლებაც მე არ მქონდა. შს სამინისტროს განცხადებიდან რჩება შთაბეჭდილება, თითქოს მე მანქანით ვატარებდი არარეგისტრირებულ „პარაბელუმის“ სისტემის პისტოლეტს. მითითებული გარემოება არასწორია იმდენად, რამდენადაც, განცხადებაში არ მიეთითა, რომ ცეცხლსასროლი იარაღი იყო ჩემს სახელზე ოფიციალურად რეგისტრირებული, დაშლილ მდგომარეობაში, ტყვიებისა და მჭიდის გარეშე და მოთავსებული იყო ავტომობილის საბარგულში, რაც აისახა კიდევაც ჩხრეკისა და ამოღების ოქმში. მცდარია ის ინფორმაციაც, თითქოს მე განვაცხადე, რომ გამაჩნდა იარაღის ტარების უფლება. სინამდვილეში, პოლიციის თანამშრომლებს ადგილზე წარვუდგინე იარაღის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, სადაც აღნიშნული იყო მხოლოდ იარაღის შენახვის უფლება, ხოლო ეს ფაქტი განცხადებაში არასწორი ინტერპრეტაციით გადმოიცა.

ასევე გასათვალისწინებელია აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას ჩემს გათავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხი, სადაც ნათქვამია, რომ მოსამართლემ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა ჩემს მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების სახით გირაოს გადახდის შესახებ და გამათავისუფლა სასამართლო დარბაზიდან. მოცემული გარემოება არის მცდარი და საზოგადოება შეჰყავს შეცდომაში. სინამდვილეში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 დეკემბრის #10დ/7155-14 განჩინებით სასამართლომ დაადგინა, რომ 2014 წლის 12 დეკემბერს ჩემი- გიორგი კლდიაშვილის დაკავება გახლდათ უკანონო და წარიმართა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით, რაზედაც განცხადებაში საუბარი არ არის, ხოლო არსებული რედაქციით კი იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩემი გათავისუფლება მოხდა არა დაკავების უკანონობის გამო, არამედ იმის გამო, რომ მე შემეფარდა გირაო. ამავე დროს, პროკურორის მიერ დაყენებული შუამდგომლობა ითვალისწინებდა ჩემს მიმართ 3000 ლარის ოდენობით

გირაოს შეფარდებას გირაოს ოდენობის გადახდამდე ჩემი პატიმრობიდან არ გათავისუფლებით, რაც სასამართლომ მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილა, გამათავისუფლა პატიმრობიდან შემიფარდა 1500 ლარის ოდენობის გირაო, რომლის გადახდაც 20 დღის განმავლობაში დამავალა.

რაც ყველაზე მთავარია, 2015 წლის 15 იანვრის წინასასამართლო სხდომაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები მიიჩნა დაუშვებლად და ქმედებაში სისხლის სამართლის ნიშნების არარსებობის გამო, შეწყვიტა წარმოება, რაც პროკურატურის მიერ გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 23 იანვრის განჩინებით საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელი და შევიდა ძალაში.

როგორც ვნახეთ, 2014 წლის 17 დეკემბერს გავრცელდა ინფორმაცია ჩემს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის დაწყებასთან დაკავშირებით, მაგრამ საქმის წარმოების შეწყვეტისა და ჩემი გამართლების თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არავითარი ცნობა არ გაუვრცელებია, რითაც საზოგადოებაში დარჩა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჩემს წინააღმდეგ მიმდინარეობდა სისხლისსამართლებრივი დევნა და რომლითაც ილახება ჩემი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით:

1. **ჩემს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით უარყოთ თქვენს მიერ გავრცელებული არასწორი ინფორმაცია;**
2. **ჩემს მიერ მოწოდებული ფაქტების შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით უზრუნველყოთ ინფორმაციის განთავსება ჩემი უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლებისა და გამართლების შესახებ.**

იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება განცხადებაში მითითებული მოთხოვნების დაკმაყოფილება, იძულებული ვიქნები მივმართო კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

თარიღი: 10 თებერვალი 2015 წ.